პროლეტარეპო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 თებერვალი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 24 (9685) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თბილისი სამაგალითო უნდა იყოს

დასამალი არ არის, რომ ფიზიკური კულტურა, მასობრივი სპორტი და გამაჯანსაღებელი ღონისძიებები ჩვენში ჯერ კიდევ მტკიცედ ვერ დამკვიდრდა ადამიანთა ყოველდღიურ ყოფაში. საქართველოს ამ მხრივ ბევრი მოძმე რესპუბლიკა უსწრებს. თბილისიც ჩამორჩება სხვა დედაქალაქებს, რომლებიც, ისევე როგორც ყველა საქმეში, ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაშიც მაგალითს აძლევენ თავიანთი რესპუბლიკების სხვა ქალაქებს. ამას წინათ „ლელომ“ უკვე გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ თბილისში უამიდან უამამდე, მეტწილად მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით ტარდება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. ეს ღონისძიებები არ არის ხალხმრავალი და, რაც მთავარია, მოსახლეობას გული არ მიუწევს მათკენ. ერთი სიტყვით, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა დედაქალაქში ჩაჭკვდარია და ეს არ შეიძლება არ გვაშფოთებდეს. სხვა დღეებზე რომ არაფერი ვთქვათ, შაბათ-კვირასაც გამოკეტილია სპორტული დარბაზების (მათ შორის სახწავლებლების), დიდი სპორტული ნაგებობების, სხვა სპორტული ობიექტების კარი. არც მოსახლეობის ფასიანი მომსახურების საერთო დონე და მაჩვენებლები იძლევა სახარბიელო სურათს.

„ლელოს“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ თბილისის სპორტკომიტეტმა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა გადაწყვიტეს კვლავ აღადგინონ ქალაქის უბნების პირველობა მინიკალათბურთში. ჯერჯერობით ესაა და ეს. რედაქციაში თავიანთი ღონისძიებების გრაფიკი გამოგვიგზავნეს თბილისის პროფკავშირული ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების კოლექტივებმა, მაგრამ... მაგალითად, გასულ შაბათს და კვირას არც საწარმოო გაერთიანება „მიოწში“ და არც მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ დაგეგმილი ღონისძიებები არ ჩატარებულა...

ფიზიკური კულტურის, სპორტის სიკეთისა და გამაჯანსაღებელი ვარჯიშის პროპაგანდას აშკარად აკლია კონკრეტულობა. რაც მთავარია, ფიზკულტურასა და სპორტს პროპაგანდას ვერ ვუწევთ მიმზიდველი, ყველასთვის ხელმისაწვდომი და კარგად ორგანიზებული ღონისძიებებით. თბილისში არ გაგვაჩნია მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ერთიანი მწყობრი სისტემა. რასაც ვაკეთებთ, ეპიზოდურია და არათანამიმდევრული. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გათვალისწინებულია ჩატარდეს თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც შეიმუშავებს დედაქალაქში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისა და მასობრიობის უზრუნველყოფის ახალ გეზს.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს, თბილისელებს, ყველას, ვინც ფიზკულტურითა და სპორტით არის დაინტერესებული, ვისაც სურს, რომ დედაქალაქში არც ერთმა შაბათმა და კვირამ არ ჩაიაროს მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გარეშე, ვთხოვთ მოგვაწოდონ თავიანთი წინადადებები და შენიშვნები, გვირჩიონ, რაზე გავამახვილოთ ყურადღება, რა ღონისძიებები უფრო დიდ ინტერესს იწვევს, კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს, რომ თბილისი მართლაც იქცეს მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის ქალაქად. თქვენს შენიშვნებს, წინადადებას და სურვილებს გაზეთის ფურცლებზე დავუთმობთ ადგილს, თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება კი თავის მუშაობაში გაითვალისწინებს.

ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის პრეტენდენტ ...

ალმეებმა „ვერ გაუძლეს“

პრეტენდენტთა ტურნირის დაწყების წინ სპეციალისტები მრავალგვარ პროგნოზებსა და ვარაუდებს გამოთქვამდნენ, მაგრამ ყველა ერთი აზრისა იყო ...მაში, რომ შეჯიბრება უაღრესად დაძაბული და უკომპრომისო იქნებოდა. გამონაკლისი არც მეოთხე ტური აღმოჩნდა, სადაც ყველა პარტია მწვავე ციტნოტში მიმდინარეობდა და... თუმცა ამაზე ქვემოთ.

სპეციალისტების ერთსულოვანი აზრით ტურის ცენტრალური პარტია ძველი მეტოქეების — ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას შეხვედრა იყო. ალექსანდრიამ, რომელმაც საკმაოდ წარუმატებლად აიღო სტარტი, ამ დღეს მდგომარეობის გამოსწორება სცადა. მეტოქეებმა ლაზიერის გამბიტის ვენის ვარიანტის მწვავე სადებიუტო სქემა აირჩიეს. მსოფლიოს ექსჩემპიონმა პაიკის შეწირვით და ფიგურების დროული განვითარებით დიდ უპირატესობას მიაღწია. მას უნდოდა გამოეყენებინა მეტოქის მეფის არასახარბიელო მდგომარეობა — მისი ცენტრში დაყოვნება, მაგრამ მოულოდნელად გაფრინდაშვილმა თამაშის სტრატეგიული გეგმა შეცვალა, ლაზიერები გაცვალა და თამაში ენდშპილში გადავიდა. მართალია, მსოფლიოს ექსჩემპიონი ინარჩუნებდა პოზიციურ უპირატესობას, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, საბოლოო გამარჯვებისთვის დიდი ბრძოლის გადახდა მოუწევდა. თავისი უნდა მივუზღოთ ალექსანდრიას. იგი შესანიშნავად იგერიებდა მეტოქის მუქარებს და შეინარჩუნა ზედმეტი პაიკი. გაფრინდაშვილი სულ უფრო და უფრო მეტს ფიქრობდა, ეძებდა უპირატესობის მიღების გზებს, რამაც მისგან უამრავი დრო მოითხოვა და თავად აღმოჩნდა ციტნოტში. 35-ე სვლაზე კი ალმი ჩამოუვარდა და წაგება ჩაეთვალა.



ციტნოტში გადაწყდა აგნუშკა ბრუსტმანისა და ქეთევან არახამიას პარტიის ბედი. ქეთევან არახამიამ, რომელიც შავი ფიგურებით თამაშობდა, სიცილიური დაცვიდან მეტად ეფექტური პოზიცია მიიღო, ლაზიერის ფრთაზე უპირატესობას დაეუფლა, მაგრამ, „ტრადიციულად“, იგი უხვად ხარჯავდა დროს და კრიტიკულ პოზიციაში, როცა

იხ. მე.2 გვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

+1

კოოპერატივი „სიჭაბუკე“

ამ დღეებში ზესტაფონში, ქუთაისის ქუჩა № 22-ში, რაიონის მოსახლეობის სამსახურში ჩადგა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივი „სიჭაბუკე“.

სპორტის მოყვარულთა განკარგულებაშია ტრენაჟორებით აღჭურვილი სპორტული დარბაზი, საუნა, დასასვენებელი ოთახები, სადაც არის ჩაი, ყავა, ახალი ჟურნალ-გაზეთები, უჩვენებენ ვიდეოფილმებს, ისმენენ საინტერესო მუსიკას და ა. შ.

პეტრე ნებიერიძე.

ეძღვნება ვოლგაზე ბრძოლას

ვოლგაზე ბრძოლის 45 წლისთავის აღსანიშნავად გუშინ ვოლგოგრადში გაიმართა მძლეოსნური გარბენი. ეს ტრადიციული ასპარეზობა წელს საერთაშორისო გახდა. 3, 10 და 20 კმ-იან დისტანციაზე გამოვიდა 1000-ზე მეტი სპორტსმენი.

ყველაზე გრძელ დისტანციაზე უძლიერესი იყო ასტრახანელი ს. სინიაევი, ამ დისტანციაზე უძლიერესთა ათეულში შევიდა კანადელი რ. მარტინდილი.



თვის მონაგარი

შარშანდელ წარმატებებს განმტკიცება ესაჭიროება

ჩვენი სპორტსმენების შარშანდელ მიღწევებს, უწინარეს ყოვლისა, სეულისა და კალგარის ოლიმპიადის პრიზმაში ვაკვირდებოდით. ცნდა ითქვას, რომ ამ პრიზმაში საკმაოდ კარგი პერსპექტივები მოჩანდა, მაგრამ შარშანდელ წარმატებებს წლეულს უთუოდ ესაჭიროება განმტკიცება, ურომლისოდაც ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა და, მით უმეტეს იქ მედლის მოპოვება, ოცნებად დარჩება.

აი, მიიწურა ოლიმპიური წლის სპორტული სეზონის პირველი თვე, რომელიც ჩვენი სპორტსმენებისთვის საკმაოდ ღარიბი კალენდრით გამოირჩეოდა. და მაინც, იანვარში საქართველოს წარმომადგენლებმა რამდენიმე მნიშვნელოვან ასპარეზობაში სცადეს ძალა. მართალია, მათ სპორტული სეზონის სტარტზე რამდენიმე მედალი მოიპოვეს, მაგრამ ეს წარმატებები, პირდაპირ უნდა ითქვას, დამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს. ბევრი რამ კვლავ დიდი კითხვის ქვეშ რჩება.

იანვარში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან პირველად თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა გაგვახარეს. ისინი, როგორც გახსოვთ, დასავლეთ გერმანიაში ბრემენის „ვერდერის“ მიწვევით მინიფეხბურთელთა საშობაო ტურნირზე გამოდიოდნენ, შემდეგ კი ძალა სცადეს საახალწლო ტურნირშიც, რომელიც უკვე საარბრიუკენში გაიმართა. დინამოელებმა წარმატებას მიაღწიეს სწორედ საახალწლო ტურნირში, რომელშიც მათთან ერთად ამ ქვეყნის „კაიზერსლაუტერნი“, „ბომბურგი“, „აინტრახტ ტრიერი“ და „საარბრიუკენი“ გამოდიოდნენ. თბილისელებმა მთავარი პრიზი მოიპოვეს, მა-

იხ. მე.2 გვ

„შევარდენი“ თუ „იბერია“?

მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია წინადადებამ, რომელიც ჩვენმა გაზეთმა წამოაყენა საქართველოს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებისთვის მოხდენილი სახელის შერჩევასთან დაკავშირებით.

— მე მხარს ვუჭერ ყველას, ვინც მოითხოვს პროფკავშირულ სპორტულ საზოგადოებას დაერქვას ეროვნული სახელი „შევარდენი“ — გვწერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გურამ მეტონიძე, ამავე წინადადებას უჭერს მხარს თავის წერილში სპორტის დამსახურებული ოსტატი მურთაზ ხურცილავა. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გურამ ყურაშვილი კი გვთავაზობს უპირატესობა „იბერიას“ მიენიჭოს.

თბილისში, როგორც ვიუწყებოდით, დაიწყო უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა სპარტაკიადა. სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის უნივერსიტეტისა და უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ფრენბურთელთა გუნდების შეხვედრის მომენტს. სპარტაკიადა დამთავრდება 7 თებერვალს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



ბერნი. უეფა-ს დისციპლინარულმა კომისიამ საერთაშორისო მატჩებში უღირსი საქციელისთვის საერთო ჯამში 22200 დოლარით დააჯარიმა ცალკეული გუნდები და ფეხბურთელები. გარდა ამისა, ზოგიერთი ფეხბურთელი უეფა-ს ეგიდის 3-5 მატჩს გამოტოვებს.

ყველაზე ხოლიდურ ჯარიმას — 5180 დოლარს გადაიხდის კვიპროსი იმისათვის, რომ ამ ქვეყნისა და გდრ-ის ჭაბუკთა მატჩში კვიპროსელი ფეხბურთელი ანგარიშის გასწორებით ემუქრებოდა მსაჯს.

1850 დოლარითაა დაჯარიმებული თბილისის „დინამო“ ბრემენის „ვერდერთან“ არაკორექტული საქციელისთვის.

შტუტგარტი. ოლიმპიური სეზონის სასტარტო შეჯიბრებაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონმა და რეკორდმენმა ჭოკით ხტომაში, დონეცკელმა სერგეი ბუბკამ. მან 580 სანტიმეტრის სიმაღლე დასძლია და 10 სანტიმეტრით გაუსწრო უახლოეს კონკურენტს ფრანგ ტიერი ვინერონს.

ევროპის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა სიგრძეზე ხტომაში რობერტ ემიანმა მეორე შედეგი აჩვენა. გამარჯვება ამ სახეობაში ამერიკელ ლარი მირიკსს ხვდა — 812 სმ. ამ სეზონში სარბენ ბილიკზე პირველად გამოვიდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი კარლ ლუისი (აშშ). 200-მეტრიან დისტანციაზე 20,83 აჩვენა. მასზე უკეთ დისტანცია მეორე ამერიკელმა სპრინტერმა ჯეიმს ბატლერმა გაირბინა — 20,68.

ტორონტო. ქალთა შორის 50 იარდზე რბენაში მსოფლიოს უმაღლესი მიღწევა გაიმეორა კანადელმა ანჯელა ისაენკომ — 5,74. ალმაათელმა გრიგორი ეგოროვმა ჭოკით ხტომაში 570 სმ დაძლია, მან უკან ჩამოიტოვა ამერიკელები მაიკ ტალი (მასაც 570 სმ ჰქონდა) და ერლ ბელი (550 სმ).

ᲗᲕᲘᲡ ᲞᲝᲜᲐᲒᲐᲠᲘ

ᲛᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲔᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ

დასასრული

მუკა ფანცულაიამ კი, რომელმაც 8 ბურთი გაიტანა, საუკეთესო ბომბარდირისთვის დაწესებული ჯილდოც დაიმსახურა.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, თავისთავად სახისხარულოა, მაგრამ თბილისელთა გამოხვლა გვინდა შევაფასოთ ისევ საარლანდის პრემიერ-მინისტრის ოსკარ ლაფონტენის სიტყვებით, რომელმაც თქვა: „დინამომ“ ღირსეულად წარმოადგინა თქვენი ქვეყანა და თქვენი ფეხბურთიო.

თბილისელ ფეხბურთელთა წარმატება, როგორც იცით, საახალწლო ტურნირშია მოპოვებული. ამიტომ გვინდა ვთქვათ: დაგბედებოდეთ!

ᲯᲔᲚᲐ, რაკი კალგარის ოლიმპიური თამაშები კარს მოგვადგა, საქართველოს ათლეტთა წარმატებების ქრონოლოგიას დავარღვევთ და სპორტის ზამთრის სახეობაზე გადავალთ.

ციგურებით სწრაფმორბენალი ქალები ლენინგრადში გამართულ საკავშირო პირველობაზე ცდიდნენ ძალას. მათ შორის თბილისელი ინგა გილაურიც იყო. ამ შეჯიბრების ერთმა მონაწილემ (ლენინგრადელმა ელენა ლაპუგამ) კალგარის ოლიმპიური საგზური, როგორც იტყვიან, უკვე ჯიბეში ჩაიდო, დანარჩენთა ბედი კი ჯერჯერობით გაურკვეველია. გაურკვეველია გილაურის ბედიც. მან 500 და 5000-მეტრიან დისტანციებზე მესამე ადგილები დაიკავა.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ჰოდაობის მოყვარულები თბილისში „კლასიკოსთა“ საკავშირო ჩემპიონატის დაწყებას მთელ 27 წელიწადს ელოდნენ, ელოდნენ იმედებითა და ოცნებებით აღსავსენი, მაგრამ ჩვენმა ფალავნებმა მოლოდინი ვერ გაამართლეს. მათ ორად-ორი შედალი მოიპოვეს. თბილისელი ბეგი დარჩია (82 კგ) მესამე იყო, ხოლო სართიჭალელი გურამ გედეხაური — მეორე.

ᲚᲕᲝᲕᲨᲘ ერთმანეთის მიყოლებით ველოსიპედისტთა ორი საკავშირო შეჯიბრება (სპრინტერული პროგრამით) ჩატარდა და ორივეგან წარმატებით იასპარეზა თბილისელმა ვლადიმერ ადამაშვილმა. პირველ შეჯიბრებაში მან ყველას აჯობა 200 მეტრზე გიტში, მერე კი მეორე ასპარეზობაშიც იზეიმა წარმატება, როცა სპრინტერთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა. ამავე შეჯიბრებაში ადამაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა 200 მეტრზე გიტში.

ლვოვში გამართულ ასპარეზობებში თავი სხვა ჩვენმა სპორტსმენებმაც გამოიჩინეს. პირველ შეჯიბრებაში ოთარ მჭედლიშვილს აშხაბადელ ალექსანდრე სულთანოვთან ერთად წყვილთა კილომეტრიან გიტში მესამე შედეგი ჰქონდა.

მეორე ასპარეზობაში თბილისელმა გოჩა ბეჟუაშვილმა ჯგუფურ რბოლაში პირველი ადგილი დაიკავა და მთავარი პრიზი დაიმსახურა, ხოლო გიტში 1 კილომეტრზე მეორე იყო.

ამ შეჯიბრების პარალელურად მოეწყო იუნიორთა ტურნირიც, სადაც თბილისელმა ანდრია კარბელაშვილმა სპრინტერულ მრავალჯიდში (ომ-ნიუმი) მეორე ადგილი დაიკავა.

ᲧᲠᲘᲚᲣᲙᲨᲘ თავი მოიყარეს 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონებმა, რომლებიც საკავშირო პირველობაში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ. აქ მეორე ადგილი დაიკავა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ნათია ჯანჯღავამ, ხოლო „კადეტთა“ ტურნირში უძლიერესი იყო.

მისმა თანაგუნდელმა თეა ლანჩავამ მესამე ადგილი დაიკავა, „კადეტებში“ კი მეორე ადგილზე გავიდა.

ნათიამაც და თეამაც უფლება მოიპოვეს მონაწილეობა მიიღონ გოგონათა შორის მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში.

ასეთივე უფლება მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა რომან სიჭინავამ, რომელიც ივანოფრანკოვსკში გამართულ ჭაბუკთა ანალოგიურ შეჯიბრებაში გამოდიოდა. მართალია, მან მეხუთე-მეათე ადგილები გაიყო, ხოლო „კადეტებში“ უკეთესი კოეფიციენტით მეექვსე ადგილი მიეკუთვნა, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა „კადეტთა“ შორის მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირის საგზურის მოსაპოვებლად.

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის უმცროსი ასაკის სპორტსმენებმა კიდევ რამდენიმე შეჯიბრებაში გამოიჩინეს თავი. ამ ასპარეზობათაგან ყველაზე უხვმოსავლიანი აღმოჩნდა უკრაინის ქალაქ ბროვარში გამართული 1972-73 წლებში დაბადებულ მოყრივეთა საკავშირო პირველობა. ასპარეზობაში ქვეყნის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლებისა და სპორტული სკოლა-ინტერნატების 250-მდე წარმომადგენელი გამოდიოდა. ჩვენი სპორტსმენებიდან ყველას აჯობეს შალვა შამოიანმა (44 კგ) და მიხეილ კუპატაძემ (63), ამას გარდა, მათმა თანაგუნდელებმა ამ შეჯიბრებაზე ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

SOS

ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲯᲘᲚᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘ

თბილისის 177-ე საშუალო სკოლის პედაგოგები თავიანთ პირდაპირ მოვალეობასთან ერთად მთელი წელიწად-ნახევარია ერთ უჩვეულო „საზოგადოებრივ“ საქმესაც ასრულებენ: ნიადაგის წყლებისაგან ათავისუფლებენ სარდაფს, რომლის თავზეც მოწყობილია საცურაო აუზი... უწყლოდ.

აუზით „დამშვენებულმა“ სკოლის ახალმა შენობამ, რომელიც 1986 წლის პირველი სექტემბრისათვის საზეიმოდ გადასცეს მოსწავლეებს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მე-13 ტრესტის მე-5 სამშენებლო სამმართველოს მუშაკებმა, პირდაპირ განაცვიფრა სკოლის მაშინდელი დირექტორი მიხეილ სახვიაშვილი და მასწავლებლები. მათ სახტიკი უარი განაცხადეს მიღების აქტის ხელმოწერაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. თუმცა მიღების აქტზე არ იყო თვით ყველაზე დაინტერესებულ პირთა ხელმოწერა, შენობა საექსპლუატაციოდ გადაიცა. და აი, მასწავლებლები დღემდე დაკავებული არიან ამ თავისებური „წყლის პროცედურებით“, მათი აღსაზრდელები კი ნაღვლიანი თვალებით შესცქერიან ცარიელ აუზს.

სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის კომისიამ თბილისის სკოლებისთვის ამ იშვიათ სპორტულ ობიექტზე ჯერ კიდევ გასული წლის აპრილში მე-5 სამშენებლო სამმართველოს უფროსის იოსებ კურცხალიას თანდასწრებით შემდეგი დასკვნა გააკეთა: სარდაფში დამთავრებული არ არის საქლორატორის და ფილტრების მონტაჟი, რის გამოც აუზში წყალი ჩადის პირდაპირი გზით ცენტრალური მილებით. არ არის მანომეტრები, დაბალია აუზისა და საშხაპეების ჰიდროიზოლაციის ხარისხი, არ მუშაობს ვენტილაცია, სარდაფში გამავალი კანალიზაციის მილები იატაკის ზედაპირზე მაღლა გაყვანილი. აქვე შევნიშნავთ, რომ სარდაფშივე დგას განმანაწილებელი ელექტროფარიც. და როცა აუცილებელი ხდება ნიადაგის წყლის ვედროებით ამოხაპვა, თბილისის ენერგოქსელების სამმართველოს მუშაკები იძულებული არიან ხანათლის მიწოდება შეუწყვიტონ მთელ ახლომდებარე უბანს — გლდანის საცხოვრებელი მასივის მეხუთე მიკრორაიონს...

მოდიოდა ათასნაირი რანგის კომისიები. ყველანი აღშფოთებას გამოთქვამდნენ, აკრიტიკებდნენ მშენებლებს. 1987 წლის ზაფხულში დაიწყო რემონტი, განაახლეს კაფელი, შეაკეთეს სახურავი. სარეზერვო თითქოს გამოსწორდა. მაგრამ წვიმა წამოვიდა თუ არა, ყველაფერი თავიდან გასაკეთებელი გახდა.

— აჯობებს სპორტული კოოპერატივი შექმნათ, — ურჩიეს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, სახსოვარ ნაწილის გამგეს ზ. მოგელაძეს. — თბილისის 182-ე სკოლაში, მაგალითად, ინიციატორებმა თვითონ შეაკეთეს აუზი, რომელიც ახლა სახსოვარ საათებში მოსწავლეებს ემსახურება, საღამოობით კი — ფახიან საამბონემენტო ჯგუფებს.

— ვიფიქრებთ ამაზე, — ამბობს ზ. მოგელაძე, — მაგრამ, ვთქვათ, ჩვენგან არც ერთს არ გაჩნია კოოპერატორის ნიჭი, რა გაშოდის, სახელმწიფო ფულით აშენებული აუზი უნდა გაუქმდეს?

როგორც მე-5 სამშენებლო სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსი ავთანდილ ღავთაძე ამბობს, ამგვარი სიტუაციის შექმნაში დამნაშავეები არიან: „საქსანტექნიკის“ სამმართველო, იმავე № 13 ტრესტის მე-6 სამშენებლო სამმართველოს მუშაკები, რომლებმაც არ იზრუნეს სადრენაჟო ქსელისა და სკოლის ტერიტორიის ასფალტის საფარის სარეზერვის აღმოფხვრისთვის, ინსტიტუტი „თბილქალაქპროექტი“, რომელმაც „არასრულყოფილი“ შენობა დაგეგმა, პარტიის რაიკომი, რომელმაც მათ აშენების უფლება მისცა, თვით სკოლის დირექციაც კი... ერთი სიტყვით, ყველა, გარდა თვით სამშენებლო სამმართველოსი.

საკვლევის კორესპონდენტმა ამსნაძგანმარტებისთვის მიმართა პარტიის გლდანის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანს ვალენტინა კულიკოვას და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს ეკატერინე ბაციაშვილს. ეს უკანასკნელი სულ ხუთი თვეა განყოფილებას ჩაუდგა სათავეში და ამიტომ არ შეეძლო კონკრეტულად რაიმე ეთქვა. სამაგიეროდ ვ. კულიკოვამ კარგად იცის სკოლის გასაჭირი, მაგრამ კითხვაზე, დიდხანს დასჭირდებათ თუ არა ამ სკოლის მასწავლებლებს სანტექნიკოსთა მოვალეობის შესრულება, გარკვეული პასუხი ვერ გაგვცა.

იქნებ ეს სახსოვარ ნაწილი გამონაკლისია და აქ შექმნილი მდგომარეობა დამახასიათებელი არ არის სხვა სკოლებისათვის ქალაქში, რომელიც ციხეური ბილიკების მწვავე ნაკლებობას განიცდის? აი, რა ცნობას გვაწვდის თბილისის ხალხსახალხო განათლების სამმართველო: საქართველოს დედაქალაქის 187 საშუალო სკოლიდან აუზი მხოლოდ 24-ს აქვს. მათგან მხოლოდ ათი აუზი მუშაობს. მიზეზი? — ძირითადად ის, რის შესახებაც უკვე გვქონდა ლაპარაკი.

ბ. კოტრაძე.
ხაკვლის კორ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ „ᲕᲔᲠ ᲒᲐᲣᲫᲚᲔᲡ“

დასასრული

თითოეული წამი ოქროდ ფასობს. გადამწყვეტი სვლებისთვის მას მეტად მცირე დრო დარჩა. ამ სიტუაციაში მან ჯერ ერთი, შემდეგ მეორე პაიკიც დაკარგა, ხოლო 37-ე სვლაზე ალამიც ჩამოუვარდა.

ეს პოლონეთის ჩემპიონის პირველი გამარჯვებაა ამ ტურნირში.

ციტნოტში მიმდინარეობდა მარტა ლიტინსკაიასა და ირინა ლევიტინას ორთაბრძოლაც, სადაც ინდური დაცვა გათამაშდა. ლევიტინამ პაიკის შეწირვით საიერიშო პოზიცია მიიღო, მას შეეძლო მეტოქის გვირგვინოსნისთვის ხელი შეეშალა როქის გაკეთებაში, მაგრამ დროის დეფიციტის გამო ვერ დაძლია მეტოქის თავგამოდებული წინააღმდეგობა. ლიდერმა როქიც გააკეთა და ზედმეტი პაიკიც შეინარჩუნა. ლევიტინა ამ პოზიციაში ბევრს ფიქრობდა და მასაც ალამი ჩამოუვარდა საათზე. ეს მოხდა 39-ე სვლაზე.

ნანა იოსელიანმა და ელენა ახმილოვსკაიამ ესპანური პარტია გაითამაშეს. მათ ღრმა სტრატეგიული ბრძოლა წარმართეს. თანდათან ვამოიკვეთა ახმილოვსკაიას უპირატესობა, იოსელიანი კი ამ დროს ციტნოტში აღმოჩნდა. თუმცა სულ მალე მისი ბედი ახმილოვსკაიამაც გაიზიარა. მიუხედავად ამისა, ელენა გეგმიანად ახდენდა უპირატესობის რეალიზაციას. პირველი საკონტროლო დროის მიწურულს მას უკვე ზედმეტი პაიკი ჰქონდა. შეხვედრა ბოლომდე მწვავე ციტნოტში მიმდინარეობდა, ახმილოვსკაია აიჭარდა, არასწორად ითამაშა და იოსელიანმა ყაიმის კარგი შანსები მიიღო, პარტია გადაიდო 61-ე სვლაზე, ახმილოვსკაიას ზედმეტი პაიკი აქვს, მაგრამ რამდენად რეალურია მოგებაზე ფიქრი, ამას გადადებული პარტიების გათამაშებისას შევიტყობთ.

ამრიგად, ოთხი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით კვლავ ლვოველი დიდოსტატი მარტა ლიტინსკაია ლიდერობს, შემდეგ მოდიან: ელენა ახმილოვსკაია — 2 (1), ირინა ლევიტინა — 2, ნანა იოსელიანი — 1,5 (1), ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ქეთევან არახამია — 1,5-1,5, აგნესკა ბრუსტმანი — 1.

თამაზ ხარაბაძე,
„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.

წყალტუბო.

• • •

გუშინ მეხუთე ტურში იოსელიანმა დაამარცხა არახამია, ლევიტინა-გაფრინდაშვილის, ალექსანდრია-ბრუსტმანისა და ლიტინსკაია-ახმილოვსკაიას პარტიები გადაიდო.

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐᲨᲘ დამთავრდა რაიონის პირველობა კალათბურთში საშუალო და რვაწლიანი სკოლების გუნდებს შორის.

გოგონებში პირველი ადგილი ღვანკითის საშუალო სკოლის გუნდმა დაიკავა. მომდევნო ადგილებზე ქვედა სიმონეთის მეორე და ახალთურჯოლის საშუალო სკოლის წარმომადგენლები გავიდნენ.

ვაჟთა გუნდებს შორის საპრიზო ადგილები დაიკავეს თერჯოლის მეორე, ქვედა სიმონეთის მეორე და საზანოს საშუალო სკოლის გუნდებმა.

ᲕᲐᲜᲝ ᲙᲣᲑᲐᲚᲐᲫᲔ.

• • •

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ჭადრაკის სახლში ჩატარდა რაიონის პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით, 8 ტურად მიმდინარეობდა. 7 ქულით I ადგილი და რესპუბლიკური ჩემპიონატის საგზური მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა ნუგზარ გვარჯალაძემ.

აღსანიშნავია, რომ ახალმა ჩემპიონმა გასულ წელს დაამთავრა თბილისის ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტი. საერთოდ იგი ამ თამაშის დიდი პოპულარიზატორია რაიონში.

Ვ. ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ,
ლანჩხუთის რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲪ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲣᲜᲓᲐ

წარმატება, რომელსაც საქართველოს ძიუდოისტებმა (1970-1972 წწ დაბადებულნი) მიაღწიეს ტარტუში გამართულ „დინამოს“ საკავშირო პირველობაზე, მართლაც საგანგებო საუბრის თემაა.

გამარჯვება ჩვენს სპორტსმენებს ამ რანგის ტურნირში ადრეც მოუპოვებიათ. მაგრამ ამჯერად მათ გამოსვლამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საქართველოს ძიუდოისტებმა (უფროსი მწვრთნელი ანზორ მარტყოფლიშვილი) გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს და მეორე ადგილზე მყოფ რუსეთის ფედერაციის ნაკრებს მთელი 84 (!) ქულით გაუსწრეს.

ბრწყინვალედ იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა პირად ჩათვლაშიც, მაგრამ მათგან საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ქუთაისელი **დავით ხახალეიშვილი.** ამ ნიჭიერი ძიუდოისტის სახელი რესპუბლიკაშიც და მის ფარგლებს გარეთაც კარგად არის ცნობილი. ბოლო დროს ხახალეიშვილს შეჯიბრება კი არა, შეხვედრაც არ წაუგია. მისი სახით ჩვენ ძიუდოს მაღალი კლასის ოსტატი გვეზრდება და ეს მნიშვნელოვანწილად ნიჭიერი მოჭიდავის მწვრთნელის ო. მერაბიშვილის დამსახურებაა.

აი, იქაც, ტარტუში, ხახალეიშვილმა ორი ოქროს მედალი მოიპოვა, ერთი — მძიმე წონაში, მეორე კი აბსოლუტურ კატეგორიაში გამარჯვებისთვის. მასთან ერთად ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ ქობულეთელი **გოჩა ბერიძე** (65 კგ), სოხუმელი **ვლადიმერ დგებუაძე** (71 კგ) და **თემურ პაჭკორია** (86 კგ).

ჩვენი ძიუდოისტთა ნადავლი მხოლოდ ოქროს მედლებით არ ამოწურულა. მეორე ადგილები დაიკავეს ახმეტელმა **გიორგი ლოლაძემ** (78 კგ), ზესტაფონელმა **გიორგი გაჩიჩილაძემ** (86 კგ) და რუსთაველმა **თეიმურაზ რაატიანმა** (95 კგ), მესამე ადგილებზე კი ახმეტელი **ზურაბ სამუკაშვილი** (65 კგ), თბილისელი **ილია ჯაფარიძე** (71 კგ) და ახმეტელი **ვასილ ომარაშვილი** (78 კგ) გავიდნენ.

ეს წარმატება გახდა იმის მიზეზი, რომ შეჯიბრებაში მონაწილე 24 ქართველი მოჭიდავიდან ცენტრალური საბჭოს ნაკრების შემადგენლობაში თორმეტი ათლეტი მოხვდა. ისინი ყველანი ტარტუში დარჩნენ და სათანადო მომზადების შემდეგ გამოვლენ საკავშირო პირველობის ფინალში, რომელიც უკვე ტალინში, 10-15 თებერვალს გაიმართება.

აღნიშნული შეჯიბრებისთვის საქართველოს მოჭიდავეებს ამზადებდნენ მწვრთნელები: რ. მაისურაძე და დ. არქანია (ორივე — სოხუმი), ტ. შათირიშვილი (ახმეტა), თ. მიქელაძე (ქობულეთი), ო. შერაბიშვილი (ქუთაისი), გ. ქენქაძე, ბ. მეზიაშვილი და ა. ნინიაშვილი (ყველა — თბილისი).

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ

„ᲔᲚᲘᲠᲡᲐᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲚᲘᲠᲡᲐᲗ“

„ლელოს“ 27 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული წერილის („ელირსათ და არც ელირსათ“) პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებით ქ. გორის ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსურ სასპორტო სკოლას გამოეყო ცურვის ჯგუფები და შეიქმნა ქ. გორის ბავშვთა და მოზარდთა ცურვის სასპორტო სკოლა.

ამჟამად სკოლაში მიმდინარეობს სპორტული ჯგუფების დაკომპლექტება-გადახალისება. ქ. გორის განათლების განყოფილებას წინადადება მიეცა ცურვის სასპორტო სკოლაში ფახიანი საამბონემენტო ჯგუფებიც გახსნას.

მურთაზ მნათობიშვილი,
სამინისტროს ფიზიკური აღზრდის სამმართველოს უფროსი.

ორიენტირი — ჭაბუკთა II
საკავშირო სპორტული თამაშები

იმედის სხივი მძლეოსნურ ბილიკზე

მართალია, რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე მოულოდნელი ბევრი არაფერი ხდება, მაგრამ სეზონის პირველი სტარტები მაინც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მწვრთნელებში. თუ ნათქვამს იმახაც დავუმატებთ, რომ ლაპარაკია 16-17 წლის სპორტსმენთა გამოსვლაზე, რომლებსაც წლეულს მეტად სიპასუხისმგებლო შეჯიბრებაში — ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებში მონაწილეობა ელით, ასეთი დაინტერესების მიზეზი უფრო გასაგები გახდება. თბილისში, საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის მანეგში, ჩატარდა 1969-72 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა რესპუბლიკური პირველობა. ასპარეზობის კომენტარება ვთხოვეთ საქართველოს ჭაბუკ მძლეოსანთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ნოდარ თვაურს.

— მოულოდნელი, მე ვიტყოდი, სასიხარულო იყო რამდენიმე მძლეოსნის შედეგი, მათი იმედი ადრეც გვქონდა, თუმცა ახლა უფრო დავრწმუნდით ჩვენი შეხედულების სისწორეში. ლაპარაკია ჩვენს მტყორცნელებზე, რომელთაგან განსაკუთრებით მინდა გამოვყო თბილისელები გურანდა თედორაძე, ნინო ონაშვილი, ზესტაფონელი მადონა წიქარიშვილი, წყალტუბოელი მერაბ ყურაშვილი... ძალიან ნიჭიერი ბავშვები არიან, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ითქვას: მათ უკვე ამ შეჯიბრებაზე მიაღწიეს ფინალური ტურნირისთვის „დაგეგმილ“ შედეგებს. მადლობელი ვართ მათი მწვრთნელებისა, კარგად მოუმზადებიათ თავიანთი მოწაფეები, მაგრამ ისიც მინდა ვუსურვო, რომ მეტი სითამამე გამოიჩინონ, გაბედულ გეგმებსა და პროგნოზებს არ შეუშინდნენ. უკვე აშკარაა, რომ მტყორცნელებს შეუძლიათ ბრძოლა ჭაბუკთა საკავშირო თამაშების შედლებისთვის. მძლეოსანთა ამ ჯგუფთან ნაყოფიერად მუშაობენ მწვრთნელები ლამარა ტუღუში, ყარამან საბანაშვილი, რეზო კობიაშვილი და სხვები, ახლა ზამთარია, შუბისა და ბადროს ტყორცნაში შეჯიბრებებს ვერ ჩაატარებ. როცა გამოზაფხულდება, გუნდის სხვა კანდიდატებსაც შევამოწმებთ. უროს მტყორცნელებისთვის კი არც ზამთარს აქვს მნიშვნელობა, არც ზაფხულს: ჩვენს ჭაბუკებში ისეთს ვერავის ვხედავ, რომ გუნდს გაიმეოროს ... ...

კალგარი ემზადება, კალგარისთვის ემზადებიან

მეორე სტარტი თეთრი ოლიმპიადის საგზურისთვის

გვერ წყალს არ ჩაუვლია მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის ნაკრების ახლანდელმა უფროსმა მწვრთნელმა ალექსანდრე პრივალოვმა სკვო-ველის (აშშ) 1960 წლის თეთრ ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. სპორტისათვის საკმაოდ მცირე დრო — 28 წელი — გავიდა იმ დღიდან, მაგრამ საბჭოთა ბიატლონისტები დღეს უკვე წამყვან ძალას წარმოადგენენ სპორტის ამ მეტად საინტერესო, ამასთან საკმაოდ რთულ სახეობაში. თავად განსაჯეთ: ჩვენმა სპორტსმენებმა ოლიმპიადებიდან მედლების საკმაოდ დამაჯერებელი კოლექცია ჩამოიტანეს — სულ 8 „ოქრო“, 3 „ვერცხლი“ და 4 „ბრინჯაო“. რაც შეეხება სპორტის დამსახურებულ ოსტატს, სვერდლოვსკელ ალექსანდრ ტიხონოვს, იგი ზამთრის ოლიმპიადების ნამდვილი გმირი გახდა — მის საშინაო კოლექციას ოთხი ოლიმპიური ოქროს მედალი ამშვენებს. ტიხონოვის გარდა ოქროს ოლიმპიელები იყვნენ აგრეთვე ვლადიმერ შელანინი, ნიკოლაი კრუგლოვი, ალექსეი ალიაბიევი და იური კაშკაროვი.

„ლელოს“ წინა ნომერში ვიუწყებოდით ახალგაზრდა ლენინგრადელი ბიატლონისტის ვლადიმერ დრაჩოვის შესახებ, რომელმაც 20-კილომეტრიან დისტანციაზე გამარჯვებით ქვეყნის თასის მოპოვებასთან ერთად კალგარის თამაშების საგზურიც გაინაღდა, გუშინ კი ბაკურიანში გაიმართა საკავშირო თასის გათამაშება 10-კილომეტრიან დისტანციაზე.

უძლიერესის სახელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ალექსანდრ პოპოვმა მოიპოვა — 35.05,4, მეორე ადგილზეა იური კაშკაროვი — 35.10,6 (ორივე — სვერდლოვსკი), მესამეზე — სერგეი ბულიგინი (მინსკი) — 35.39,9. წინადღით გამარჯვებული ვლადიმერ დრაჩოვი (ლენინგრადი) ამჯერად მხოლოდ მერვე იყო — 36.21,5.

5 თებერვალს ბაკურიანში ბიატლონისტთა უკანასკნელი სტარტია — ამანათრბენი 4X7,5 კილომეტრზე. მისი შედეგების მიუხედავად უკვე დადგინდა კალგარის ოლიმპიადაზე მოასპარეზე საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა: ა. პოპოვი, ი. კაშკაროვი, ს. ჩეპიკოვი (სვერდლოვსკი), ვ. დრაჩოვი, დიმიტრი ვასილიევი (ლენინგრადი), ვალერი მედვედცევი (იჟევსკი), სერგეი ბულიგინი.

სოფიკო ხეთაგაშვილი,
„ლელოს“ კორ. (ტელეფონით).
ბაკურიანი.

როგორც ვიუწყებოდით, დღეს, 3 თებერვალს, მოსკოვში (ლუჟნიკი) ქვეყნის უძლიერესი მოთხილამურე მრბოლები კალგარის თეთრი ოლიმპიადის წინ ე. წ. „ვარსკვლავთა საღამოს რბოლაში“ გამოვლენ. ეს იქნება უკანასკნელი რეპეტიცია ზამთრის XV ოლიმპიადის წინ. შეჯიბრების მონაწილეთა შორის იქნებიან ამას წინათ ბაკურიანში გათამაშებული ქვეყნის თასის მფლობელები — ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, 35 წლის სიქტივკარელი რაისა სმეტანინა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 23 წლის ვლადიმირელი ალექსანდრ პროკუროროვი.

ამ ფოტოსურათებზე, რომელიც „ლელოს“ კორესპონდენტმა **იური გალდავამ** გადაიღო ამას წინათ ბაკურიანში „იმერლების ველზე“ გამართული ასპარეზობისას, თქვენ ხედავთ რ. სმეტანინასა და ა. პროკუროროვს.

ოლიმპიურ მერიდიანზე

ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთ პრეს-ბიულეტენში აღნიშნულია, რომ მილიონ 900 ათასი ბილეთიდან სალაროებში გაიყიდება მხოლოდ მეოთხედი. დანარჩენი ბილეთები სპონსორებს (ფირმები, რომლებმაც ოლიმპიურ ფონდში არანაკლებ 2 მილიონი დოლარი შეიტანეს), საპატიო სტუმრებს, ფედერალური მთავრობის წარმომადგენლებსა და საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს შორის განაწილდება. როგორც ცნობილი გახდა, ბილეთები ყველაზე ცუდად ბიატლონისტთა შეჯიბრებებზე საღდება და ეს გასაგებიცაა. კანადაში ამ სახეობას ნაკლებად იცნობენ.

ერთ დროს ცნობილი ჰოლანდიელი მოციგურე ჰანს ვან ჰენდელი კარგა ხნით საცხოვრებლად პარიზში გადავიდა და წარმატებით იცავს საფრანგეთის სპორტულ ღირსებას სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებაში. ამ ცოტა ხნის წინ მან კალგარის ოლიმპიადის საგზური მოიპოვა, მაგრამ მაინც გულდაწყვეტილია, ვინაიდან მისი მეუღლე, ასევე მოციგურე, მარი ფრანსი ავადაა და შესაძლოა ოლიმპიურ თამაშებში არც გამოვიდეს.

აშშ-ს ჰოკეისტთა ოლიმპიური ნაკრების წევრები ყოველი ვარჯიშის შემდეგ უყურებენ ვიდეოფილმს, რომელიც ამ ქვეყნის ჰოკეის ისტორიას ასახავს. კალგარიში ამერიკელთა ნაკრების პრესატაშეს მაიკ ბრედერის განცხადებით „ბიჭები საბრძოლველად არიან განწყობილი და მოუთმენლად ელიან იმ დღეს, როცა მსაჯის სასტვენი მათ მოედანზე მოუხმობს. ასეთი განწყობით ადვილი შესაძლებელია ჩვენმა ჰოკეისტებმა ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადის წარმატება გაიმეორონ“ — ასკვნის პრეს-ატაშე.

მოციგურეთა მსოფლიო თასის ერთ-ერთ ეტაპზე, რომელიც მომავალი ოლიმპიადის ქალაქში ჩატარდა, სპეციალური აპარატურა სპორტსმენთა სასტარტო სისწრაფეს ზომავდა. როგორც გამოირკვა ყველაზე კარგი სტარტი გდრ-ის წარმომადგენელს უვე-იენს მაიას ჰქონია — პირველ ას მეტრზე იგი 9,87 წამს აჩვენებდა.

ფრანგები ახლავე ემზადებიან 1992 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის, რომელიც ამ ქვეყნის საკურორტო ქალაქ ალბერვილში უნდა ჩატარდეს. კალგარიში ჩავიდნენ ეროვნული სათხილამურო ფედერაციის წარმომადგენლები, რომლებმაც უკვე მოაწერეს ხელი კონტრაქტს ორ უცხოელ სპეციალისტთან. თხილამურებზე მორბენლებს მომავალი ოლიმპიადისათვის ნორვეგიელი უდ შილტჰეიმი მოამზადებს, ტრამპლინიდან მხტომელებს კი ავსტრიელი ალოიზ ლიპბურგერი.

როგორც ცნობილია, დღეისათვის მსოფლიოს უძლიერესმა ტრამპლინიდან მხტომელმა, ფინელმა მატი ნიუკიანენმა ამას წინათ კალგარიში ორი დიდი შეჯიბრება მოიგო. ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ზეს კლინგა ამ წარმატებას ასე ხსნის: „მატის მეორე შვილი შეეძინა და ამიტომ ძალზე გახარებული იყო“.

ავსტრიის „მფრინავ მოთხილამურეთა“ ნაკრების უფროს მწვრთნელს ვილი პიურსტლს ჰკითხეს: რით უნდა ავხსნათ თქვენი აღსაზრდელების შედარებით სუსტი გამოსვლა წინასაოლიმპიადო შეჯიბრებებზეო. მწვრთნელმა ამ შეკითხვას მშვიდად უპასუხა: „ჩვენთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს ოლიმპიურ სტარტებს. ამიტომ ავსტრიის მხტომელთა შედეგებზე ოლიმპიადის შემდეგ ვისაუბროთ“.

ამერიკული გაზეთის „ბოსტონ გლობის“ მიმომხილველის აზრით არ არის გამორიცხული, რომ ამ ქვეყნის სპორტსმენთა დელეგაცია კალგარიში ოქროს მედლის გარეშე დარჩეს. აი, ამერიკელი სპეციალისტები კი სხვაგვარად ფიქრობენ. თან მიაჩნიათ, რომ უმაღლესი ოლიმპიური ჯილდოს მოპოვების შანსი აქვთ ციგურებით 500 მეტრზე რბენაში ბონი ბლეირს, ფიგურულ ციგურაობაში დები თომასსა და ბრაიან ბოიტანოს, ბიატლონისტ ჯოშუა ტომპსონს. ოლიმპიური მედლებისთვის ბრძოლა შუუძლიათ, აგრეთვე, ბობსლეისტებსა და სამთო მოთხილამურეებს.

ნორვეგიის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე როლფ ოლეგარდი დარწმუნებულია, რომ მისი ქვეყნის სპორტსმენები სარაევოს ოლიმპიადის შედეგს ვერ გაიმეორებენ. იქ ნორვეგიელებმა ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს და ამ მაჩვენებლით წინ მხოლოდ ხუთი ქვეყნის დელეგაცია გაუშვეს. კალგარიში, თავმჯდომარის აზრით, „ოქროს“ მიღება შეუძლია მხოლოდ ერთ ნორვეგიელ მოციგურეს — 24 წლის ინჟინერს გეიერ კარლსტადს.

სამი შედეგი ცნობილია

საბჭოთა დიდოსტატმა არტურ იუსუპოვმა და მისმა ინგლისელმა კოლეგებმა ნაიჯელ შორტმა და ჯონათან სპილმენმა ვადამდე გაინაღდეს ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე პრეტენდენტთა ასპარეზობის მეოთხედფინალური მატჩების საგზურები, კანადის ქალაქ სენტ-ჯონსში მიმდინარე მერვედფინალური მატჩების V პარტიებში იუსუპოვი დაუზავდა თავის თანამემამულეს იან ელვესტს, ძორტი — უნგრელ დიულა საქსს, სპილმენმა მოუგო ამერიკელ იასერ სეირავანს. ამრიგად, ეს სამი „მიკრო-მატჩი“ შესაბამისად ასეთი ანგარიშებით დამთავრდა: 3,5:1,5; 3,5:1,5 და 4:1.

დანარჩენ ოთხ მატჩში ყველაფერი ბოლო პარტიებში გაირკვევა. ვალერი სალოვმა და ჰოლანდიელმა იან ტიმანმა V პარტიაც ყაიმით დაამთავრეს და მათი მატჩის ანგარიში საყაიმოა — 2,5:2,5.

უნგრელი ლაიოშ პორტიში დაუზავდა რაფაელ ვაჰანიანს და ლიდერობს — 3:2.

ამავე ანგარიშით უგებს ისლანდიელი იოჰან ჰიარტარსონი შვეიცარიელ ვიქტორ კორჩნოის, თუმცა V პარტიაში კორჩნოიმ იმარჯვა.

ანდრეი სოკოლოვისა და კანადელი კევინ სპრაგეტის შეხვედრაში საყაიმო ანგარიშია — 2,5:2,5. V პარტია კანადელი მოჭადრაკის უპირატესობით გადაიდო, მეორე დღეს მან შეძლო საბჭოთა დიდოსტატის დამარცხება და დაეწია მას.

დანაშაული და სასჯელი

პარიზ-დაკარის პოპულარული რალის მე-18 ეტაპი დამთავრდა რბოლის ეთიროვნული ლიდერის, ფინელი ავტომობილისტის არი ვატანენის... დისკვალიფიკაციით. მსაჯთა კოლეგიამ ასეთ მკაცრ ზომას მიმართა იმიტომ, რომ სპორტსმენმა სტარტზე დაგვიანა.

საინტერესოა ვატანენის განცხადება ამის თაობაზე: „სტარტამდე ერთი საათით ადრე შევიტყვე, რომ ჩემი ავტომანქანა „პეჟო-405“ მოეპარათ. მძარცველებმა ტელეფონით მაცნობეს გამოსასყიდი თანხა — 90 ათასი დოლარი. ოთხი საათის შემდეგ „პეჟო“ მანქანების სასაფლაოზე იპოვნეს“.

ვატანენმა მაინც აიღო სტარტი, ოღონდ ყველაზე ბოლომ, გზადაგზა 60 მეტოქეს გაუსწრო და 510 კილომეტრიანი ტრასის ფინიშზე მერვე შედეგი აჩვენა, მაგრამ... თავზეხელაღებულ მძღოლს მსაჯთა უმაკრესმა ვერდიქტმა სწორედ აქ მოუსწრო.

ამ შემთხვევის წყალობით გაიმარჯვა ფინელმა ავტომობილისტმა, მსოფლიოს ჩემპიონმა იუჰა კანკუნენმა („პეჟო-205“). მოტოციკლებით ასპარეზობაში იტალიელი ედი ორიოლი პირველობდა („ჰონდა“).

ორი „ვარსკვლავის“ კავშირი

ჰოკეისტთა პროფესიონალური ლიგის (ნხლ) ყველაზე ცნობილმა „ვარსკვლავმ“ „ედმონტონ ოილერზის“ მოთამაშემ უეინ გრეცკიმ გამოაცხადა, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში ცოლს შეირთავს, მისი მეუღლე გახდება არანაკლებ ცნობილი კანადელი კინოვარსკვლავი ჯანეტ ჯონსი.

გრეცკი ახლა იძულებულია დაისვენოს და ჰოკეის დროებით ჩამოსცილდეს. მას მუხლი აქვს დაზიანებული. სპეციალისტების აზრით ჰოკეისტი ყინულზე თებერვალში თუ დადგება. მანამდე კი დრო აქვს მიხედოს თავის საცოლეს.

როგორც ამბობენ, ჯანეტ ჯონსმა თავისი გულის რჩეული ცნობილ ედმონტონელ მომღერალს ვიკი მოსს „წაართვა“.

ასეთია ნიკოს გალისი

ცნობილი ბერძენი კალათბურთელი, ევროპის 1987 წლის ჩემპიონატის გმირი ნიკოს გალისი გასული სპორტული სეზონის შედეგებით თავისი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად იქნა აღიარებული. საბერძნეთის სპორტული პრესის ფედერაციის ჯილდო ლაურეატს ათენის ცენტრალურ სტადიონზე გადასცეს. ეს ინტერვიუც ჟურნალისტებმა მას ზეიმის შემდეგ ჩამოართვეს.

◎ კალათბურთის თამაში სად ისწავლეთ?

— ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც დავიბადე და გავიზარდე.

◎ როგორი დამოკიდებულება გაქვთ მშობლებთან?

— ყოველ ზაფხულს ჩავდივარ შტატებში მათ სანახავად.

◎ ვინ არიან თქვენი მშობლები?

მამაჩემი, რომელიც 87 წლისაა, ახალგაზრდობაში მოკრივე იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძნელი ცხოვრება აქვს განვლილი. მე მას დიდ პატივს ვცემ. ჯულახდილად გეტყვით, ცხოვრებაში მხოლოდ მამის მეშინია.

◎ მეუღლის?

— მეუღლე ჩემი ერთგული თანამგზავრია ცხოვრებაშიც და სპორტშიც. იგი თანაბრად იზიარებს ჩემს სიხარულს და გულისტკივილს.

◎ კალათბურთი თქვენი სიყვარულია თუ პროფესია?

— ერთიც და მეორეც, მაგრამ უფრო მეორე.

◎ კალათბურთი რომ არა, რა გზას აირჩევდით ცხოვრებაში?

— მე ხშირად ვფიქრობ სამყაროს ჰარმონიაზე. ადვილი შესაძლებელია ასტრონავტი გავმხდარიყავი.

◎ კალათბურთს რომ თავს დაანებებთ, მწვრთნელად ხომ არ იმუშავებთ?

— არ ვიცი, ხასიათი მაქვს მძიმე. ყოველ შემთხვევაში გუნდის წევრთა მიმართ უაღრესად მომთხოვნი ვიქნები. ისე კი, დიდი სურვილი მაქვს ახალგაზრდებს კალათბურთის სული გადავცე.

კალეიდოსკოპი

თავის დამკვიდრების მიზნით

„გინესის რეკორდების წიგნში“, რომელიც ლონდონში გამოდის, სამი წელია უცვლელად დგას ბულგარელი ფეხბურთელის რადისლავ ნიკოლოვის უნიკალური შედეგი. ფეხბურთისადმი მიძღვნილი განყოფილების ქვეთავში „ბურთის კონტროლი“ აღნიშნულია, რომ 1984 წლის 18 აგვისტოს პლოვდივში ნიკოლოვმა ბურთი მიწაზე დაუშვებლად აკენწლა 18 ათას 110-ჯერ, რასაც 2 საათი, 57 წუთი და 3 წამი დასჭირდა.

ამას წინათ „თრაკიას“ (პლოვდივი) გუნდის ყოფილმა მოთამაშემ საკუთარი მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება სცადა. პირველ ცდაში ერთსაათიანი ჯონგლირების შემდეგ შეცდომა დაუშვა. მეორე ცდა უფრო ნაყოფიერი გამოდგა. როგორი იქნება ახალი რეკორდი ამას გინესის წიგნის ახალი გამოცემის შემდეგ შეიტყობთ.

თავად ნიკოლოვისთვის, რომელსაც მეგობრები „მაგნიტის ფეხებიან ადამიანს“ უწოდებენ, რეკორდებისთვის ბრძოლა — ფეხბურთში თავის დამკვიდრების საშუალებად იქცა. მან, უკვე კარგა ხანია, ტრავმის გამო თამაშს თავი დაანება და ჟონგლიერებას მიჰყო ხელი.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05167